ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №164/6

თბილისი «28» « 11 » 2012წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა ჩაჩხუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ავერსი–გეოფარმი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გია ჩიგოგიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საკუთარი სახსრების ფარგლებში, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარის სანდრო ბანაშვილის საჭიროებისათვის ბავშვის საკვების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტები, დეტალური CPV 15884000 - ბავშვის საკვები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 412,41 (ოთხასთორმეტი ლარი, 41თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

ბავშვის საკვები ნესტლეს ფირმის რძე „ალფარე" 400 ოთხასგრამიან შეფუთვაში 15 (თხუმეტი) კოლოფი ერთი კოლოფის ღირებულება შეადგენს 27,494 (ოცდაშვიდი ლარი, 494 თეთრი) ლარს. სულ 412,41 (ოთხასთორმეტი ლარი, 41თეთრი) ლარი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში, „მიმწოდებლის" აფთიაქინად, მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. №11

4.2. „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს ვარგისიანობის საერთო ვადის არანაკლებ 50%–ისა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3. ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1.„შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.1.5. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი, რომლის, ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს ვარგისიანობის საერთო ვადის არანაკლებ 50%–სა.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" წიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან, ხოლო ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" სამი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144
ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი №BAGAGE22
ა/ა № GE65BG0000000878284200
ს/კ № 202465153

ანა ჩაჩხუნაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „ავერსი–გეოფარმი"
ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №11
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
კოდი № BAGAGE22
ა/ა № GE62BG0000000126681500
ს/კ № 203834075

გია ჩიგოგიძე
დირექტორი